

572 /  
1968/2 .



1968 თაზარზვანი N2

# ქაღალდი



თებურვალი დადგაო,  
სეში წუალი ჩადგაო,  
ჩიტმა ჩიორამაო  
საძირკვეული გადგაო.

# საქართველო

მინი ჟიჟინაძე

მოკაშკაშე ცაო,  
ზღვო დიციცაო.

დათოვრიღო მთაო,  
მთაო ქათქათაო.

ჯეჯიღო და ტყეო,  
სუღ იშრიადეო!

საქართველოს მზეო,  
სუღ იგზგზეო!





# ნაპი

ვალდისა ასლანაჩივილი

გამოზატხულზე პაპა თომამ ეზოში თუთის ნერგი დარგო და გოგიას უთხრა: შენთვის ჩამბარებია, შეილო, თვალყურს ნუ მოაკლებ, გაუფრთხილდი. სამაგიეროდ, რომ გაიზრდება, ვალში არ დაგრჩებაო.

გოგია, აბა რისი გოგია იყო, პაპის დარიცხვა რომ დაეწყებოდა. ნერგს წყალსაც უსხამდა და თვალიც ეჭირა, თხას არ გაეკინა, ან ღორს არ ამოეთხარა.

ერთ დღეს ცა მოიღრუბლა. ისეთი ქარი ამოვარდა, მაღალი ხეები სულ წელში მოხარა. აბა, ახალშეფოთილი თუთის ნერგს რა დღეს დააყრიდა, — აქეთ-იქით დაუწყო ქანაობა.

ვაიმე, ქარმა რომ მოტეხოს? მოდი, პაპას შევეციოთები, როგორ ვუშველო, — გადაწყვიტა გოგიამ და სახლში შეირბინა; მაგრამ სიტყვა პირზე შერჩა, — პაპა თომას ტახტზე ჩასძინებოდა. გოგიას პაპის გაღვიძება დაენანა. უცებ, მოხუცის გვერდით რკინისწვეტიან ჯოხს მოჰკრა თვალი, ხელი სტაცა და ეზოში გააქანა.

გაიღვიძა პაპა თომამ, მიიხედ-მოიხედა და სადღაა ჯოხი!

— გოგია, ბიჭო, გოგია! — გასძახა შეილიშვილს.

— რაო, პაპა?

— ჩემი ჯოხისთვის თვალი ხომ არ მოგკრავს?

— როგორ არა!

— აბა, მომიტანე, შენს გაზრდას!

— თუთის ნერგს ვათხოვე, პაპა!

— ვის ვათხოვეო? — ვერ გაიგო მოხუცმა.

— ქარს რომ თუთის ნერგი არ მოგტეხა, შენი ჯოხი ამოვუყენე და ზედ მივაბი.

— ბიჭო, ჩემი ჯოხი კი ათა, კიგო უნდა შეგედღა, — გაიცინა პაპამ.



იმ დღეს პაპამ და შეილიშვილმა თიხის გროვიდან სწორი ლატანი ამოარჩიეს, კიგო გამოთალეს და თუთის ნერგს შეუდგეს.



# გთაცვინდეს


გივი გვაგაძორი

ნახატი გიორგი როინიშვილისა

გუშინ მამამ მე და ნინო  
მთაწმინდაზე აგვიყვანა,  
ჩვენ იქიდან დავინახეთ  
მეტეხი და ნარიყალა.

გადმოვხედეთ მტკვარს და ქალაქს,  
იმის ძველ და ახალ უბნებს:  
ხარფუხს,  
ვერას,  
ვაკეს,  
ვეძისს,  
საბურთალოს  
და დიდუბეს.

ისანს,  
დიდომს  
და ავჭალას,  
კრწანისსა და  
ორთაჭალას...  
დაჰყურებდა ცხრათვალა მზე  
მოზეიმე თბილის-ქალაქს.







## არშიალ დაწოდება

ა. კონონი

ნახატები რევაზ მუსხიშვილის

იმ ღამეს თებერვლის სუსხიანი ქარი უბე-  
რადა. ქარხნის საყვირები გაბმულად გუ-  
გუნებდნენ: სამშობლოსათვის თავდადებულ  
შვილებს ღენინი სმოდნო მოუხმობდა. მა-  
მული საფრთხეში იყო, — გერმანელები პეტ-  
როგრადისაკენ მოიწვედნენ.

ღენინი მთელ ღამეს მუშაობდა. ხანდახან  
წამოღგებოდა და ფანჯარასთან მივიდოდა:  
სმოდნის ვზოში კოცონები ენთო, იქვე იდგა  
ტყვიამფრქვევები.

ერთ კოცონთან საყვალაწყული მეზღვაუ-

რი ჩაცუტულიყო. ზურგში ქარი სცემდა.  
ცეცხლზე ხელებს ითბობდა.

ღენინმა ცოტა ხანს უტკირა მეზღვაურს.  
მერე ისევ საწერ მაგიდას მიუჯდა, ერთხელ  
კიდევ გადაიკითხა ხელნაწერი და დიდი ასო-  
ბით წააწერა: „სოციალისტური სამშობლო  
საფრთხეშია“. ოთახიდან სწრაფად გავიდა  
ღერეფანში.

მთელი დღე და ღამე შეუსვენებლად მუ-  
შაობდა ვლადიმერ ილიას ძე. მხოლოდ ახლა  
შეისვენა. აუტქარებლად გაიარა დაცარიე-

ბული ფერფანი და კიბესთან შეჩერდა. კიბის მოედანზე, ტყვიამფრქვევის გვერდით, ახალგაზრდა ჯარისკაცი იდგა.

— რას იტყვი, აწხანაგო, ამ ტყვიამფრქვევით მტერს დაგამარცხებთ?— ჰკითხა ლენინმა გუშაგს.

— უმჯობესად დაგამარცხებთ, ვლადიმერ ილიას ძეგ!— მხნედ უპასუხა გუშაგმა.

— გერმანელებს?

— დიახ, გერმანელებს!

— მათ ჯავშნოსნებიც აქვთ, ზარბაზნებიც...

— სულ ერთია, მაინც გავანადგურებთ, ვლადიმერ ილიას ძეგ!

— მეც ასე მგონია, ამხანაგო... ნამდვილად გავანადგურებთ.

ლენინი კვლავ აუტყარებელი ნაბიჯით დაბრუნდა თავის ოთხში, უკანასკნელი სამხედრო ცნობა ისევ დამპასთან იდგა: გერმანელები ფსკოვს უახლოვდებოდნენ, პეტროგრადზე და ტუმას ამზადებდნენ.

აი, ეს გუშაგი რომ არის, ან ის შემზღაური, ასეთები რომ ბევრი მოგვცა, სულ სხვა ამბავია. არა, ისინი ცოტანი არ არიან, ოლონე: საპიროა დრო, რომ შეიკრიბონ და არმია შეჰქმნან.

მაგრამ დრო ცოტაა, მტერი საბჭოთა დედაქალაქისაკენ მოიწევს...

ჩაბნელებული ფანჯარა განაცრისფერდა: თენდებოდა. საგანგაშო საყვირები აღარ გუგუნებდნენ. ლენინმა დააყურადა: შორიდან მუსიკის ხმა მოისმოდა. ხმა თანდათან ძლიერდებოდა, სამხედრო ორკესტრი მარშს უკრავდა. გაისმა ბრძანება და სმოლნის ფართო ჰიშკარში ჯარი შემოვიდა.

ლენინი სარკმელთან იდგა.

1918 წლის 23 თებერვალს გერმანელებმა პირველი დარტყმა იცემეს, — წითელი არმიის მებრძოლებმა მტერი შეაჩერეს.

ეს დღე ჩვენი არმიის დაბადების დღეა იქცა.

თარგმანი ანტონ აბულაძე





# გაკაკლი

თამარ კალაშოვი

ერთ ღრუბლიან დღეს დედლებს ძალიან შესცივდათ. იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, თუ გვიშველის, მამალი გვიშველისო.

— მზე ჩვენს მამალს უარს როგორ ეტყვის, ერთს უბრძანებს და ისიც მაშინვე გამოიანათებს, — იჩქვლიანად თქვა ქროლა დედამა.

— ჩვენს დეზებიან მამალს რა არ შეუძლია! ერთხელ ქორსაც კი შეებრძოლა, — დაუმატა ქოჩორა ვარიკამ.


— ახლა რა ხმა აქვს, აღარ იტყვით! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

მაგის ვაჟკაცობა მე მკითხეთ, წიწილების პატრონი ვარ, — აკრიახდა კრუსი.

დაიმედებულმა დედლებმა მამლისაკენ გასწიეს.

მამალმა დინჯად მოისმინა სათხოვარი, მერე ამაყად ახედა ცას და რიხიანად თქვა:

— ახლავე ვუბრძანებ... აბა, ერთი გაბე-



დოს და ნუ დავგვენახვება!

— უიყლიუოოო! — შემოსძახა და მის იღბალზე მზე მართლაც გამოცურდა ღრუბლებიდან.

მას აქეთ მამალს ჰგონია, მზე ჩემს უვილზე ამოდისო!





# ჩა ხელოვნ ჩა სუნი ა კ ვ ს

ხანი გურჯაი

საეკონომიკური სუნი აქვს, მშებო, უოჯელ სეჩენს; საფუნთუშე—საფურცლის და ცომის სუნს აქვებს.

სადურგელომ და გურგალობს მკვთარი სუნი იცის—სუნი ბურბურშელის და დახერხილი ფიცრის.

გაგელს ლებავს მღებავი, რა ფურადაც გრეზავს; სელეგბავის, სეიბიღრის სუნი ახდის მღებავს.

სამანქანო სეითის სუნს ქარხნის მუშა მოგვეყვანს; სუნი ახდის ბენზინის—მოფურს.

ახდის მემქანრლამებს სუნი ნივთის, თსილვის, ვქიმს თეთ-ზნადაიბანს—წაბლის სუნი ტყვილი.

გუთანს მისდევს გლეჯეცავი, მოსკვლითსთვის იბრძვის,

ნახატება ზაზა ზურაბიძის

გლეჯეცავს თივის სუნი ახდის და ნახნაუი მიწის.

ახდის მშობიულ შებადურს სულის და თევზის სუნი... მარტო უსქაპურობას დახვდით, მშებო, წუნთ:

რაც არ უნდა იხსნადგენს თმბზე ვარდის წველს, შაიღრის მუქთახორიბა ცხრა შიბას იქით კარს!



## ოკოვი ზე ჯაქო

გ ვ ვ

ოფოფი ხეზე შემოჯდა და ცალი ფეხი ოქროდ გექა, გაღაფრინდა მგორე ხეზე და მგორე ფეხიც ოქროდ გექა; გაღადასკუბდა მესამე ხეზე და მთლიანად ოქროს ფრინველად იქცა. გახარებულმა ცაში შეინაჰარა. შემოხვდა ლაქო.

— ოკო, ასე რამ გაგაღამაზა? —კითხა ოფოფს.

— არ ვიცი, ჩემო კარო, შევეჯექი ერთ ხეზე და ერთი ფეხი ოქროდ გექა; გაღაფრინდი მგორე ხეზე და მგორე ფეხიც ოქროდ გექა, გაღადასკუბდი მესამე ხეზე და, როგორც ხედავ, მთლიანად ოქროდ ვიქცეო.

თუ ასეა, მცე ოქროს ჩიტად ვიქცევიო—შეშურდა ლაქოს და გაფრინდა. შეგადა ერთ ხეზე და ერთი ფეხი მოიტეხა, შეაფრინდა მგორე ხეს და მგორე ფეხიც მოიტეხა!

ჩაიწერა ვლადიმერ გეგეზაძის





# უკეთესადაც უკეთესი

უზნა კახაიშვილი

ური დამადეო, ვაშლის  
არყო დღე ხნს ამაგს.  
ერი უღარ ტეშა რაც მოხდა,  
ჟქვეს გაგაგია აღბაო.  
ველა ბურის და შაიბებულს,  
თურხე, დღე ხნს წაწაო.—  
მიწერაო ბაე-ბაე წაწაო,  
მოწერაო ბაე-ბაე წაწაო,  
— მიდი, დეგოგო ბუნაი,  
დეგოგო ბნელი სირა,  
დრი ვაგოგარო ხიათი,  
ხანამ კმ ქვეწარ ცეხოგობო.—  
ბებერ მუსხინ მოგროდენს,  
რაცა ჩამწეა ბანდი,  
მოთაობარეს, აგეო  
სახხლე დიდუ დიდი.

დრეხე შეუღა შენებს  
ხერათმძლარი ბილი,  
ველა რადაეს მოარებს,  
ველა რადაეს ცელობს.  
ხაქუმში მარე ტრალეებს,  
დარაჯე დიდე შელო,  
ცოდეს ვერ ზობეო, ნამბუხე  
არ აუღაო ზედი.

ზოგს ხედა მოჭრა და  
ზოგს მიხედა ბრეში.  
ხახალს შოგან, ჟქვეს იცო.  
ბნელი არ არის ბაეში.

არც კმა ახხოვ, არც ძალი,  
მხეცებს შირაში ვართლეს,  
მალა მიწებს კედლები,  
სარული მისდებს სართულს.  
არ ჩაუღლა ამოდ  
მათ ვარჯას და ჯგუხს,  
და წამოქმედ კორიბუნე  
დიდეს სახხლე წრფად.

შეა ხართლუე აბრანდა  
ნდარია მუფე—ღობი,  
თუმცა, მართალი რომ თქვას,  
თავს არ აკლავდა შრომით.

ბტიმა ვიფარხო, აუშვეს  
ბილი ხართლუე—ცევა.  
კეწურუე მალა აგზუნეს,  
ძირს დარჩა დღეო ბრევი.  
თითი წაოღო ითაბი  
ერგოი ტურას და აფთარს,  
მოწადეული ხტეზიან  
ქარაშხლას და წამოარს.



ბრატე მელაღლასი  
მოცხუნესო ვედასი  
ევიშეღეს მოგარაღლეო.  
კურდულეს შეუწნდა ზედა  
შენი ბუქას წაოღა  
შე უღდა ვიუო მხოლოდ...  
ჩაიჭირა ცეხტი წაცარა  
და დავიანება ბილი.

კარად შეღამდა. სარის წინ  
ზედა ტრალიებს, ჩქარობს,—  
კურდულეს იგაგაში მივლის  
ვაშში სანეგარო.  
ხელათმძნები წაიღეს,  
თათი დასტყეს ჩანდა.  
წახვლას წუქეს უფრად  
კელი ვაგობი წანდეს.  
შედა კიბეებს დეუფა,  
ბარს ჩაუწნულდა წრფად.  
არც დაუნახეს—სანათლი  
ჩაკეო დავიე ხახანს.

ციცელი ნელ-ნელა გაღვდა.  
ფარდასაც მისწვდა ალი.  
გვიანდა უო, მხეცებმა  
რომ ვაგობეს თვალს.  
ბარგვალად ტურამ აკოღა,  
ტურას აფორაო აგეა,  
დეუფებული კეწურუე  
დაბრის აღა და დღმა.  
ტმა ამბიამ ბორთუმით,  
ძენმელი მოხარის ბილი.  
მიჭრა სანეგარანს,—  
ხანარის წაჭობას ცელობს.  
წაიჭა ერთი კედელი,  
შეირცე მიხედა მუსივე,  
უსახლაროებს რა ექნაო,  
პარა იბარუნეს ტისკენ,  
ცევა ვეღაზე წინ მიბტის,  
მარტოქას ახერებს ზებრა...  
იმეღ ლამეს დაიწეეს  
წუქი მელიას ძებნა.  
მეგრამ იმ წუბაე მელიას  
ვირხად დაადეს თვალს.  
ცამ ჩაუღამა თუ ქვესტენმა,—  
გაქრა იმისი კედი.  
ნადარია ჩრხხეს ბეჭეა.  
ისე ეწეო სირის,  
იმ დღემან ველო ტეფრი  
კელავ ჭეღმებურად ცხოგობს.



ნახტი პრ. ვაშლიძის





ეზოსა და უზანს მე ვდარაჯობ, ჩემი შიშით  
ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჭანებია და მი-  
წაზე ჭიანჭველასო.

— ხი, ხი, ხი, რა გულადი ყოფილა!

— ჯერ სადა ხარ... დამაცადე, თორემ  
ალარ გიამბობ!—ვაფრთხილებ გოჩას.

— მიდი, პო, დავაცდი!—ისევე ეშმაკურად  
წკურავს თვალებს გოჩა.

— შემოდგომით შირაქისაკენ დაძრული  
ცხვრის ფარები ჩვენი სოფლის გზაზე ჩა-  
მოივლიან ხოლმე. მოდიან გაბმულად და  
მოამტკერებენ გზას. ფარებს შოლტის ტყლა-

# გულადი

სოლომონ ლეჟანაძის მიერ

— წინათ ჩვენს ხრიკას გულადი ერქვა,  
არა?—ეშმაკურად მოწკურა თვალები გოჩამ.

— გულადი იყო და ერქვა.

— რითი იყო, რას აკეთებდა?

— მთელი დღე ხან მზეს ეფიცებოდა,  
ხან ჩრდილში გორაობდა. ასე ეგონა, მთელ

შუნით მოსდევინ მეცხვარეები, მეცხვარე-  
ების უკან ენაგადამოვლებული ვეება ძაღლები  
მოიზღაზნებთან.

ამ ძაღლების დანახვაზე შიში ავითანს  
ადამიანს, მაგრამ ისინი უშიშვროდ არაჰყის  
ერჩიან, არც წარამარა ყეფენ: მგელთან მეო-  
მარი ძაღლები არიან, იციან. ვინ მტერია  
და ვინ—მოყვარე. იმ ძაღლებს ყელზე რკი-  
ნის ეკლიანი ჩანგლები უკეთიათ.

— მგელმა რომ ყელში პირი ვერ ჩაა-  
ლოს, არა?

— პო, რომ ვერ ჩაავლოს. პოდა, ეს ფა-  
რები რომ მოდიან ხოლმე, ადგება და, სწო-



რედ მაშინ გამოვარდება ეს შენი გულადა, თეთრ მოკლე კუდს აპრეხავს და ხრინწიანი ხმით უყევს მეცხვარის ნაგაზებს:

ჰამ, ჰამ, აბა, რომელია თქვენში ყველაზე მამაცი ძაღლი, თუ ბიჭია, გამოვიდესო.

მეცხვარის ძაღლები კი არხეინად მიდიან. ხანდახან შეჩერდებიან, ჭკვიანი თვალებით შეხედავენ თავიანთ პატრონს, ხომ არაფერი უჭირსო და ისევ წაძუნძულდებიან. გულადა კი... აბა რისი გულადაა, — უფრო მოეცემა გული.

ჰამ, ჰამ, ჰამ! — მოუბზირებს ყვეფას, თან აქეთ-იქით იყურება, — ერთი შემოხვდეთ, რა გულადი ვარო. მერე ფეხდაფეხ აედევნება ნაგაზებს, კარგა მანძილზე ყეფა-ყეფით გაპყეება, მეცხვარის ძაღლები კი მაინც არ უყადრებენ თავს, თორემ ერთ ლუკმადაც არ ეყოფათ ეს ჩვენი გულადა. მწყემსები რომ გულადას საქციელს უყურებენ, სიცილით იფხრიწებიან.

რა გულადია! — ამბობენ და თავებს აქნევენ. აქაოდა, ნახეთ, რა ძაღლიაო.

— ერთი ბეწოა და სულაც არ ეშინია! — უკვირთ მეზობლებსაც.

ყველა აქებს გულადას და თვითონაც ამაყობს. ნამდვილი ძაღლივით დადის, ასე ჰგონია, ქვეყანა ჩემიაო.

ჰოდა, იმას გეუბნებოდ: ჩამოიარეს სოფლის გზაზე ფარებმა. მოსდევენ ამ ფარებს უკან ვეება ნაგაზები და...

ჰამ, ჰამ! — სად იყო და სად არა, გულადაც გამოვარდა, რაკი სათითაოდ ვერ გათბილიათ, ყველა ერთად გამოდით, აბა თქვენ და აბა მეო.

ძაღლებმა ყურით არ შეიბრტყეს, არხეი-

ნად განაგრძეს გზა, გულადა აედევნა. მიდიან ძაღლები, დინჯად მიიზღაზნებიან, მისდევს უკან გულადა... და უცებ გზის პირას, ღობეზე, მეზობლის ყოყლოჩინა დეზებიანი მამალი არ შემოხტა!

ყიცილიყო! და... საღდა შენი გულადას ფახიფუხი: მიიხედ-მოიხედა და რაკი დაინახა, რომ საკუთარი ეზოდან კარგა შორს წასულიყო, თვალები შიშისაგან გაუფართოვდა, ერთი დაიწკმუტუნა და სხვის ეზოში შეკარდა.

— ხი, ხი, ხი!.. შეეშინდა! — იცინის გოჩა, — მერე, მერე?

— ამის მერე ყველა მიხვდა, რა გულადაც იყო და ახლა ისევ ძველ სახელს — ხრიკას ეძახიან.



ნახატები ზურაბ მუხამარიანისა

კაცობიანი



ავტობუსი

გურამ ხარაიძე

ნახატები ელ. აბოშაძისა

სიზმარ ავტობუსში ახტა, მძღოლის ადგილზე მოკალათდა და მიიხედ-მოიხედა.

— დააჭირე ფეხი მარჯვენა პედალს!— წაუჩურჩულა ტრელმა ჩიტმა.

— ესეც მარჯვენა!

— ახლა მარცხენას!—ჩქარობდა ჩიტუნა.

— ესეც მარცხენა!

— ახლა საჭე მიატრიალ-მოატრიალე!

სიზმარამ საჭე გადასწვადმოსწია და ავტობუსიც დაიძრა.

კარგა ხანს იარცხ.

ჩიტი მგზავრებს მიუბრუნდა:

— გავცენოთ ერთმანეთს და სიზმარასაც ვუამბოთ, ვინ ვართ, სად ვცხოვრობთ, რა გვიყვარს...—

— კარგი იქნება, ძალიან კარგი! — ერთხმად წამოიძახეს სიზმარას ახალმა მეგობრებმა.

— ვინ დიწყებს?—იკითხა ტრელმა ჩიტმა.

— შე, შე დავიწყებ!—წამოიძახა კენგურუმ და ავტობუსში ყველა სმენად იქცა:

— ასორმოცდაათი წლის წინათ ჩვენს სამშობლოს ავსტრალიას ინგლისელი მოგზაური კუკი ესტუმრა.

— კუკი, კუკი, კუკი!..—აყვირდა ჟირაფი.

— ჩუმად, ჩუმად!—შეუტია ტრელმა ჩიტმა.

— მერე, მერე?—შესძახეს აქეთ-იქიდან.





კენგურუმ შირაფს თვალების ბრიალით  
გადახედა და განაგრძო:

— ჰოდა, კუკი კუნძულს რომ ათვალე-  
რებდა, უეცრად მე მომკრა თვალი. დამი-  
ნახა, ორ ფეხზე დავდიოდი და დიდად გა-  
ოცდა.

— ორ ფეხზე? — იკითხა მაიმუნმა.

— ჰო, კი არ დავდიოდი, დავბტოდი, აი,  
ასე: — თქვე კენგურუმ და ყველას დასანახად  
ავტობუსში დაიწყო ხტუნვა.

— რატომ დაბტოდი? — ჰკითხა ჩიტმა.

— იმიტომ, რომ ძველად ჩვენი სამშობ-  
ლო გაუვადლი ჯავნარით იყო სავსე. სიარუ-  
ლი ძალიან გვიჭირდა და ხტუნვა ვისწავ-  
ლეთ. ახლა შვიდ მეტრზე ისე გადავბტები,  
უკან არ მოვიხედავ. სიმაღლეზე კი ორ-სამ  
მეტრზე შემძლია ავბტე.

— მერე, მერე, ის კაცი რა იქნა?

— ჰოდა, მაგას ვამბობდი, იმ კაცმა ერთ  
ავსტრალიელს ჩემზე ჰკითხა, ამ ცხოველს  
რა ჰქვიაო? კენ-გოურ-რუ! — მიუგო თავის  
ენაზე კაცმა; ესე იგი — არ ვიცი, რას მე-  
კითხებო. კუკს კენ-გოურ-რუ ჩემი სახელი  
ჰგონებია და ამის მერე, აქველა კენგურუს  
რომ გვეძახის.

— მაშ, შენ არვიცია ხარ? — სიცილი ატე-  
ხა შირაფმა.

ამის გაგონებაზე კენგურუ აენტო, შირაფს  
კული სახრესავით გადაუჭირა და სახეში  
თათები დაუშინა.

ავტობუსში ერთი ალიაქოთი ატკდა.

— რა ამბავია, სად გგონიათ თავი. შე-  
ჩერდით-მეთქი! — შესძახა ჭრელმა ჩიტმა და  
მოჩხუბრებს შორის ჩაფრინდა.

(გაგრძელება იქნება)

# ქსკა

## მორის ფოფიანილი

ვიამ დარგო ჭერამი,  
ჭერამს თურმე რადაც ხრავს, —  
ვიამ ჭიანს დაბარალა,  
ჭიამ — კვერნას,  
კვერნამ — თავეს;  
თავეს — კატას,  
კატამ — ხარს,  
ხარმა — ძელას,  
ძელამ — ისას.  
დამნაძავე ვერ ნახეს,  
დაცქებენ ახლაც...  
ახრად არვის მოსვლია,  
ხეს თუ ხრავდა ძასრა.





# როგორ აიხლო ვაჟადა ჯახონის სახლში



ლიტვური ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. მამლისა და დოლაბის მეტი არა ებადათ რა. მიდგებოდა. მოდებოდა მამალი, იპოვინდა სადმე ხორბლის მარცვალს, დედაბერი დოლაბზე ჩამოფეკვავდა და ერთი ორიოდ კოდ ფეკვილიც მზად იყო. მერე გამტკიცავდა, დააცხობდა პურებს და ცხოვრობდნენ ასე.

ბატონმა ყური მოჰკრა, ამა და ამ მოხუც ცოლ-ქმარს ასეთი და ასეთი დოლაბი აქვსო, მიეპრა და წაართვა.

გაუქირდათ ცხოვრება მოხუცებს. ლუკმაური სანატრელი გაუხდათ. რა უნდა ექნათ... ჩამალს შეეცოდა მოხუცი ცოლ-ქმარი და ისევ თვითონ დატრიალდა: ადგა და დოლაბის გამოსახსნელად გასწია. მიდის ტყეში სიმღერ-სიმღერით და უცებ მელა შემოეყარა.

ყვინჩილაჲ. ყვინჩილაჲ! საით გავიწევია, რიხიანად რომ მიიმღერო?

დოლაბის დასახსნელად, ბატონის სახლ-კარის ასაკლებადო.

მეც თან წამიყვანეო.

ჩამიძვერი ყელშიო.

ჰოპ!—და ჩაუძვრა მელა მამალს ყელში. მამალმა კი ისევ სიმღერით ვანაგრძო გზა. წინ მგელი შემოხვდა.

ყვინჩილაჲ, ვი, ყვინჩილაჲ! საით გავიწევია, რიხიანად რომ მიიმღერო?

დოლაბის დასახსნელად, ბატონის სახლ-კარის ასაკლებადო.

მეც თან წამიყვანეო.  
აგერ, ყელში ჩამიძვერიო.  
ჰოპ!—და ჩაუძვრა მგელიც მამალს ყელში. მამალმა გზა ვანაგრძო და ისევ ხმამალა შემოუქიდა სიმღერა. შემოხვდა დათვი.  
მამლაყინწავ, ჰეი, მამლაყინწავ! საით გავიწევია, ხმამალა რომ მიიმღერო?



დოლაბის გამოსახსნელად, ბატონის სახლ-კარის ასაკლებადო. მეც თან წამიყვანეო.

მოდი, ყელში ჩამიძვერიო.

მოალო მამალმა პირი და ჰოპ!—ჩაუძე-





ნახატები ლიონიდი ზარაფიშვილისა



რა დათვიც ყელში. იარა, იარა და ბატონის სახლ-კარსაც მიიადღწია, შეფერინდა მესერზე და წაუშლევრა:

კარ-მიღამოს ავიკლებ,  
ბატონს ფეხქვეშ ვავივებ,  
ყიყ-ლიყო!

გამობრძანდა ბატონი აივანზე, ეს ვინ მღერისო. უსმინა, უსმინა და მერე მსახურთ უბრძანა: დაიჭირეთ თავხედი მამალი და ბატებს მიუგდეთ, ისე დაკორტინა ამაღამ, რომ შენი მოწონებულყო.



გაბრაზდა ბატონი და ბრძანა, დაიჭირეთ და თავლაში შეაგდეთ, ამაღამ ცხენებს კი ვერ ვადაღურჩებო.

შეაგდეს თუ არა თავლაში, მამალმა ჩილაპარაკა:

მგელო, მგელო, მგელუცა! ამოძვერი ყელიდან და ცხენებს დაერიგო. ამომერა მგელო, გამოლადრა ცხენებს ყელი და ტყისაკენ წაძუნძულდა.

დილაადრიან გაგზავნა თავლაში მსახურნი ბატონმა, ნახეთ, მამალი მკვდარია თუ ცოცხალიო. როგორც კი გამოაღეს კარი, მამალმა ერთი ქაა ფურიო და, გარეთ გამოფრინდა. შესკუპდა მესერზე და წაუღიღინა.

განრისხდა ბატონი და ბრძანა: დაიჭირეთ და ხარებთან შეაგდეთ, ამაღამ რქებზე წამოიგებენო!







მიუვდეს მამალი ხარებს.

დათვო, დათვო, დათუნია,—წაიჩურჩულა მამალმა,—ამოძვერი ყელიდან და ხარებს დაერიეო.

მოვიდა დილაადრიან ბატონი და რას ხედავს,—სადღაა ხარები. მამალმა კი... ფრიოო და, გარეთ გამოფრინდა, შესკუბდა მესერზე და ჩაარაკრაკა: ბატონს ხარები აღარ ჰყავს, ბატონს ხარები აღარ ჰყავსო.

ბატონი მთლად გადაირია, მსახურთ უბრძანა: ჭაში ჩააგდეთ, დაიღრჩობა და ის იქნებაო.

ჩააგდეს მამალი ჭაში და ჭას სარქველი დაახურეს, ვეღარ ამოფრინებდაო.

მამალმა შესძახა:

აბა ჩემო ყვლო, შენ იცი და შენ, სვი წყალი, რაც შეგიძლიაო!

მოალო პირი მამალმა და... ყლუბ!—

ჭა მილიანად ამოაშრო.

მობრძანდა დილით ბატონი ჭასთან და მსახურთ უბრძანა, მამალი ამოათრიეთო, ახადეს თუ არა ჭას სარქველი, ფრიოო და, ამოფრინდა მამალი, შემოსკუბდა მესერზე და წაიმღერა.

ბატონი ლამის ბრაზმა დააღრჩო. იყვირა, ახლავე თავი გააგდებინეთო. მსახურებმა ხელიც ვერ ახლეს: ყელი რომ გამოვლადროთ, იმდენი წყალი ვაღმოიღვრება, კაი დღე არც ჩვენ დაგვადგებაო. მაშინ ბატონმა თვითონ დასტაცა ხელი ნაჯახს და მამალს მივარდა.

მოუქნია, მაგრამ მამალი განზე გახტა, თავისივე მოქმეული ნაჯახი კი ბატონს თავში მოხვდა და შუაზე გაუპო.

მამალმა ბატონის კარ-მიდამო მთლიანად აიკლო, მოიკნა და ზურგზე დოლაბი და დაბრუნდა შინ.

ამის შემდეგ მოხუცები მშვიდად და უღარდღელად ცხოვრობენ.

თარგნა მიხონ ზარნაძე







### მურიანი ჯოგონა

ტექსტი და ნახატები  
ელ. აგბოქაძისა



1. მურიანმა გოგონამ ეწოში კნუტი დანიხა და სთხოვა:— მოდი, ვითამაშოთ; მე დედა ვიქნები, შენ შვილიო.— შენისთანა მურიანი დედა რად მინდაო!— უპასუხა კნუტმა.



2. გოგონამ ახლა წიწილას სთხოვა:— ვითამაშოთო! „გასწი იქით, ბუნბული არ გამიმშროსო!“— დაიწივება წიწილამ და გაიქცა.



3. გოგონამ ჭოიწყინა უცებ წულის კასრზე დასკუპულმა ბაყაყმა დაუძახა:— ვითამაშოთო!



4. — მე დედა ვიქნები, შენ შვილიო!



5. ბაყაყმა თითი ასწია:— გამურულ შვილს პირი უნდა დავგანაოო“.



6. მურიან სახეზე წყალი შეახხა...



7. გოგონამ მინისკენ მოკურცხლა.



8. ხელ-პირი დაიბინა და მწვანავით გამოანათა. მას მზია ჰქვია, ახლა მზიასთან ალბათ თქვენც სიანწყენბით ითამაშებთ.

მოთავარი რედაქტორი გუზარან მატუაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: კჷპუტარი გომიგაზვილი, ჯემალ ლოლუა, მამუკალა მგვილივილი, ჯემალ ნინუა, იორკამ ქვიმარტივილი (პ. ზე. მღვიანა), შალვა (სხალამე (საბავტრო რედაქტორი), რიზო შვივილი.

საქართველოს : ლკე ცენტრალური კომიტეტისა და ვ. თ. ლენინის სახელობის ნორჩ ბიჭერთა ორგანიზაციის რეპუბლიკური საბჭოს უფროსი

ყდაზე ნახატი ზურაბ შორჩიძისა

ტექნორედაქტორი გიორგი რივივილი


გომიგაზვილი გე-41-ე წელი.

რედაქციის შემოსული მასალები აგრორებს არ დღებურდებთ.

საქ. კე ცეს-ის გამომცემლობა, ვაჟი-ი. შუკე. № 7 3. სტამბის შუკე. № 4375, ტრაქტო. 108 400, ჯალ ზობა გიქვილი, ხელშეწერილია დასაბეჭდად 10/1-68 წ. ფრანკო დაბეჭდილია საქ. კე ცეს-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკობისა-ში ლენინის ქ. № 14. „საბავტრო“ № 2 სა რუსისკომ ვიკს. ტბანის, პრეს. მღვიანა № 91 რედაქციის მისამართი: თბილისი, პლემანელის პრისს. № 91. ტელ. 5-97-98, 5-18-09.

ფასი 20 კაპ.

682/5



უაუაჩოეზი — ნახატი ლელა შატარძისა, 4 წლის.  
ბურატინო მოტოროდერით — ნახატი კახა გულისაშვილისა, 5 წლის.  
ბაბუას ეზო — ნახატი ანზაკო წიდაიშვილისა, 5 წლის.  
დედა — ნახატი ქეთინო შეყილაძისა, 4 წლის  
თხა — (პლასტილინი) კახი ბაკურაძისა, 6 წლის.  
კორიკანა — ნახატი მარინე დათაშვილისა, 9 წლის, თბილისი.